№ 278 დეკემბერი 31, ხუთშაბათი 1892 დეკემბერი 31,

ივერია

1877—1892 საპოლიტიკო და საალიტერატურო გაზეთი 1877—1892

გაზეთის ღირს

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაგეზეთად დ[illegible] დასაბეჭდავი უნდა მიმართონ: თბილისში რედაქციასა, ეუკიანში, აგშლილის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკიისეულს სახლში; წყარა-ციხოვნის გამავრცელებელ საზოგადოების ანცელიარიასა, სოლოვიოვ-ზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

ქნეინა ბარბარე ბიოლგბის ასული ბარათაშვილისა შვილებითურთ და **ბარბარე ვახტანგის ასული ამაშუქელისა**, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებას, პირველი—მეუღლისა და მეორე—ძმისა თვისისა **თავად. ბიოლგრი ვახტანგის ძის ბარათაშვილისასა.** გამოსვენება გარდაცვალებულისა იქნება დილის ათ საათზედ, ორს იანვარს 1893 წ., თავის სადგურიდამ, რომელიც იმყოფება ნოვო-ორსანელის ქუჩაზედ, სახლი № 23 კუკის ალექსანდრე-ნეველის ეკკლესიაში, სადაც გარდახდილ იქმნება წირვა; დასაულავება მოხდება დიდუბის ღვთის-მშობლის ეკკლესიის გალავანში. პანაშვიდი გარდახდილ იქმნება 31 დეკემბერს ნაშუადღევის პირველსა და შვიდს საათზედ და პირველ იანვარს,—საღამოს შვიდ საათზედ. (1—1)

ქართული თეატრი

შაბათს, 2 იანვარს,

დანიშნულია საიუბილეო წარმოდგენა სახსოვრად პირველის ქართულის წარმოდგენის გამართვისა 1850 წ. 2 იანვარს.

პარტიტურა: საფარეროვისა, გაბუნიაცაგარლისა და ყიფიანის მონაწილეობისა.

I

გაერა

კომ., 4 მოქ., თხზულ. გ. ერისთავისა

II

მეორე მოქ. ანტონოვის კომედიიდგან

ეზის ღაბნელება

III

გაიყუში

კომედია 2 მოქმედ., ცაგარლისა

IV

ცხოველი სიცრცოფენი

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი

დასაწყისი 8 საათზედ

ადმინისტრატორი ვ. გუნია

ტფილისის ქალაქის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს უძრავ-მამულების პატრონთა საცნობელად, რომ 1892 წელს 21 დეკემბერს ტფილისის ქალაქის საბჭომ გარდასწყვეტა: მომავალ 1893 წელს გამოერთმევა უძრავ მამულების პატრონთ ქალაქის სასარგებლოდ დასაფასებელი დამატებითი გარდასახადი $^1/_8$% იმისა, რაც აქამდე ერთმეოდათ, ესე იგი $^3/_4$%; ვიდა ამ გარდასახადის შემოტანისა დანიშნულია, ქალაქის საბჭოს გარდაწყვეტილებით, 1893 წლის აპრილის თვემდე, რომლის გარდაცილების შემდეგ სახლის პატრონთ გარდახდებათ აღნიშნული გარდასახადი და კანონიერი ჯარიმა. ამას ქალაქის გამგეობა დასძენს, რომ ეს დამატებითი გარდასახადი მხოლოდ 1893 წელს იქნება და არ აღიმატება ნახევარ წლის დასაფასებელ გარდასახადს. 3—2

გამგეობა ქუთაისის გამოქვაბულ აბანაგზეგ.�ა უმორჩილესად სთხოვს იმ წევრთ, რომელთაც ამა მდგომარე წლის იანვარში დაიწყეს ერთს, ან ორ კაპეიკს აძლევდეთ ამ მათხოვარს. ქალაქის გუშაგნი ხშირად სდევნიდნენ ამ დედაკაცს, რადგანაც, ამათის ფიქრით, ეს დედაკაცი სხვა მათხოვრებზე უფრო აძულებდა ხალხს თავს. „Жидовка проклятая! проходу не даетъ людямъ!"—უწყრებოდა ხან ერთი გუშაგი და ხან მეორე. ამ წყრომაზე დედაკაცი მოშორდებოდა შუა ქუჩას, დაჯდებოდა სადმე ქუჩის კუთხეში და იძახოდა: „გამიკითხეთ, ღვთის გულისათვის"-ო, მაგრამ, რა რომ აქ ყურადღებას არ მიაქცევდნენ, ისევ გადოდა შუა ქუჩაზე და ეკერა გაწყვეტილი ხელი. ამა ვინ იფიქრებდა რომ ეს დედაკაცი ქრისტინე იყო, ის ლამაზი, მორცხვი ქრისტინე, რომელიც ერთ დროს ისე უტოკებდა გულს და ანატრებდა თავს ნიგვზიანის ყმაწვილ-კაცობას! გარდა ცისფერის თვალებისა, რომლებიც ეხლა ისე შესაბრალისად გამოიყურებოდა მის დაგლახაკებულ სახიდამ, აღარაფერი მოგაგონებდათ ადრინდელ ქრისტინეს.

ქრისტინე და სონა, სანამ არ მოკვდა დედაბერი ნატალია, არ მოშორებიან მას. ნატალიას სიკვდილს შემდეგ რამდენსამე ხანს კიდევ ერთად სცხოვრობდნენ ისინი. შემდეგ ქრისტინე ვიღაც ერთმა აფიცერმა ხასად იიყვანა. კარგა ხანსა სცხოვრობდა ის ამ აფიცერთან. როცა აფიცერს მოსწყინდა, ანუ, როგორც თვითონ ამბობდა, როცა „რახილა გაბუნდა", აფიცერმა ვიღაც სხვა ქალი შეიყვარა და ქრისტინეს თავი დანება. დაიწყო ქრისტინემ ცალკე ცხოვრება (სონასი და ლიზასი, რაც ერთხელ მოშორდა, მას შემდეგ აღარაფერი გაუგია). თუმცა-და თავის სილამაზისა ბევრი აღარა შერჩენოდარა, მაგრამ სახელი „ურიის ლამაზის ქალისა" ჯერ კიდევ ბევრ მოქეიფე ყმაწვილს იზიდავდა მისკენ.

ერთს დღეს ვიღაც ყმაწვილებმა ჩაისვეს ქრისტინე ფაეტონში და გასწიეს ორთაჭალისკენ, სადაც მთელი დღე დუდუკითა და ღვინის სმით უნდა გაეტარებინათ. არ გასულა ორი-სამი საათი სმის დაწყების შემდეგ, რომ მოქეიფეთ მოეკიდათ ჩხუბი, ქრისტინეს გამო, ტ შეიქნა ხანჯლების ტრიალი.

—რას გაგიშტერებია თვალები, წამო რაღა! უთხრა ერთმა ყმაწვილმა ქრისტინეს და მოჰკიდა ხელი წასაყვანად.

—თავი მამიკვდეს, თუ ეგ აქედამ გაგატანო! მაშ მე დედაკაცი ვყოფილვარ! გადაუდგა წინ მეორე ყმაწვილი ხანჯლით.

—გასწი-მეთქი! აბა ბიუია, და გაგიბედოს ვინმემ ხელის ხლება! შესძახა პირველმა ყმაწვილმა ქრისტინეს და გაიგდო წინ.

—ეე! ჰხედავ ამ ხანჯალს! ლუკმა-ლუკმად აგკიწვავ, თუ არ გაჩერებულხარ! მიუტანა ხანჯალი ქრისტინეს სახესთან მეორე ყმაწვილმა!

—გასწი-მეთქი!

—არ იშლი, მიგყავს რაღა!

—მიმყავს!

—ვერ წაიყვან!

—წავიყვან!

—მაშ, აჰა, თუ წაიყვან! ამ დროს რამდენჯერმე გაიელვა ქრისტინეს სახეს ახლო იმ ყმაწვილის ხანჯალმა, რომელიც ქალს წინ უხვდებოდა, და რავდენსამე ადგილას დაჭრილი ქალი გულ-შემოყრილი დაეცა ძირს,—აი წაიყვანე! დაიძახა ქალის დამჭრელმა ყმაწვილმა და გაიქცა. იმას გამოუდგნენ სხვებიცა, და გულ-შემოყრილი ქრისტინე-კი დარჩა იქ.

როცა ქალი გონს მოვიდა, წამოდგა ზეზე, მისდა ბედად იქ ერთი კინტო შეხვდა და იმის შემწეობით მიაღწია თავის ოთახს. მეორე დღეს ქრისტინემ განუცხადა პოლიციას, რაც შეემთხვა. მაგრამ, რადგანაც ქრისტინემ იმ ყმაწვილ კაცების შესახებ, რომლებმაც წინა ღამით წაიყვანეს ორთაჭალაში და დასჭრეს, იმაზე მეტი არაფერი იცოდა, რომ ერთს კოტე ერქვა სახელად, მეორეს—ვანო, მესამეს—სოსო და სხვა, მეტი ვერც გვარი ამ ყმაწვილებისა, ვერც ის ადგილი, სადაც ეს ყმაწვილები სცხოვრობდნენ, ვერ დასახელა,—დიაღ, ამ საქმის ცნობათა უქონლობის გამო, პოლიციამ ვერაფითარი შემწეობა ვერ აღმოუჩინა ამ ქალს, გარდა იმისა, რომ სამკურნალოში გაჰგზავნა და იქ მოარჩინეს. მოარჩინეს, მაგრამ სახე მეტად დასახიჩრებული გამოჰყვა, შეხედვა შეეეზარებოდა, ისე აჩნდა ორ-სამგან ჭრილობის კვალი. ამას შემდეგ, რა თქმა უნდა, თავის რჩენა ადვილი საქმე აღარ იყო მისთვის. ხანდახან ბუერის ფულიც აღარა ჰქონდა და ერთი დღი-

ფელეტონი

ქრისტინე

(მოთხრობა)

IX *)

კარგი ხანა გასულიყო მას შემდეგ, რაც ქრისტინემ პირველად დასწდა ფეხი ტფილისში. მას შემდეგ კიდევ ბევრი ქრისტინეს მზგავსი სტუმარი მიიღო ამ ქალაქმა. ნატალია აღარ იყო ცოცხალი. იმ ადგილას, სადაც ერთ დროს ნატალიას სახლი იდგა, ეხლა ორ-სართულიანი ლამაზი შენობა გამოეკიმათ და ვიღაც ცოლ-შვილიანი მდიდარი კაცი იდგა შინ. ქუჩიდან-ქუჩაში დადიოდა ერთი სახე დასახიჩრებული სნეული დედაკაცი და გამელელ-გამომვლელს სთხოვდა: „ღვთის გულისთვის, მიწიწყალობეთ ერთი გროშ"-ო. უმრავლესობა ჩვეულებრივის გულ-ცივობით უქცევდა გვერდს, მაგრამ გამოერეოდა ხანდახან ისეთიც, რომ

*) იხ. „ივერია" № 277.

ოფიციალური ცნობა ხოლერის შესახებ.

ახალქალაქის მაზრის უფროსი იუწყება: სოფ. ყაზახში 14 დეკემბერს ხოლერით 6 ავადმყოფი იყო; 14—18 დეკემბერს კიდევ 3 გახდა ავად; მორჩა 5 და გარდ. 3; 18 დეკემბერს იყო 3 ავადმყოფი.

ტფილისის მაზრის ექიმის მოხსენებით, სოფ. მარტყოფში ხოლერა ტფილისიდგან შემოუტანიათ ძველ ტანისამოსების ვაჭრებს. პირველად 22 ნოემბერს გაჩნდა ხოლერა მარტყოფში და 26 ნოემბრამდე 6 კაცი გახდა ავად და ექვსივე გარდაიცვალა; 2 დეკემბერს კიდევ გახდა ავად 1 კაცი და 10 დეკემბრამდე მორჩა; 4—6 დეკემბერს გახდა ავად და კიდევ გარდაიცვალა 1 კაცი; 10 დეკემბერს ხოლერით ავად გახდა კიდევ 1 კაცი და 12 დეკემბერს კიდევ გარდაიცვალა; ახლა ხოლერა შესწყდა მარტყოფში და ყველა სახლებში, სადაც ხოლერიანები იყვნენ, დეზინფექცია მოვახდინეთო, სწერს მაზრის ექიმი.

ახალი ამბავი

*** „ვენახებისა და ყანების სტატიისაგან საუთიერთო დაზღვევის საზოგადოების" მმართველობას გარდაუწყვეტია მალე გაჰმართოს კაკასიაში სააგენტოები, თუ საქონრა ამისათვის წევრთა რიცხვი მოიკრიბებაო. ახლა გვაცნობებენ: რომ დაჩქარდეს ამ სასარგებლო „საზოგადოების" მოქმედება ჩვენს ქვეყანაში, ამავე საზოგადოების რწმენებული ბ-ნ დ. ბ. თუთაევი ამ დღეებში გაემგზავრება კახეთისაკენ, რათა ჩაგონოს და გაბედვინოს კახეთის მემამულეთ, რაც შეიძლება, მალე ჩაეწერნენ წევრებად ამ სასარგებლო „საზოგადოებისა".

*** ჩვენ მივიღეთ ბაქოდამ ბ-ნ ი. ემილიანოვისაგან 3 მ. ბ-ნ თ. ჟორდანიას „ქრონიკების" დასაკვეთად. ამ ფულისა გვქონდა 250 მ. შესდგა სულ 253 მ.

*** რუსეთის ფინანსთა სამინისტრო აცხადებს, რომ ძველი ქაღალდის ფული რომელიც მოჭრილია 1868 წელს, 50, 25, 10, 5, 3 და 1 მანათიანებისა და 1880 წელს მოჭრილი 25 მანათიანის ახალ ფულზედ შეცვლის უკანასკ[illegible]ლი ვადა დანიშნულია 1 მაისს 1894 წელს. მას შემდეგ ზემოდ მოხსენებულ ქაღალდის ფულს არსად არ მიიღებენ და არც ფასი ექნება.

გარეგანი ნიშნები გასაცვლელ ძველ ფულისა შემდეგია: მოჭრილი 13 თებერვალს 1868 წელს:

50 მანათიანი—იმპერატორ პეტრეს სახეა გამოხატული.

25 მანეთიანი—მეფე ალექსი მიხეილის ძის სურათით.

10 მანეთიანი—მეფე მიხეილ თეოდორეს ძისა.

5 მინეთიანი—დიდი მთავარი დიმიტრი დონელისა.

3 და 1 მანეთიანებზედ მეორე გვერდის შუა ალაგას წელიწადია აღნიშნული, როცა მოსჭრეს.

20 ოქტომბერს 1880 წელს მოჭრილი:

25 მანეთიანი თეთრია და მეორე მხარეს უნახატო და ბეჭედ-დაუსმელი.

*** მოგეხსენებათ, რომ თელავსა და ტფილისის შორის დილიჟანსები დადის. დილიჟანსები ეკუთვნის ეერძო ამხანაგობათა. ერთი ამხანაგობაა თათუზოვისა და მეორე ოსკანოვისა. დილიჟანსები-კი აქვთ ამ კომპანიებს, მაგრამ იმის-კი ნაკლებად ჰზრუნავენ, რომ მგზავრნი შეწუხებულნი არ იყვნენ. ჯერ ერთი რომ ამ ზამთარში ქალაქს ჩამოდის ეს დილიჟანსები ღამის 9 საათზე. გზაზე, დაღამდება თუ არა, მგზავრთა გულის ხეთქებას საზღვარი აღარა აქვს: არსად სანთელია, არსად ფარანი არც მგზავრთათვის, არც ცხენებისათვის. ცხენები ხომ ისეთს გაჰირებაში არიან ხოლმე, რომ მგზავრნი ხშირად იძულებულნი არიან რამდენჯერმე თითო და ოროლი ვერსი ფეხით იარონ. ვგონებთ, არ იქნება ურიგო, რომ დილიჟნის პატრონებმა, რომელნიც ფულს საკმაოდ იღებენ, მგზავრთა საჭიროებასაც მიაქციონ ყურადღება.

*** როგორც შევიტყეთ, ბაქოში გასამართავ ქართულ საღამოსათვის მოთავეთ განუზრახავთ რამდენსამე არტისტის კაცისა და ქალის მიწვევაც ტფილისიდამ. იმავე საღამოსათვის აქედამ მიაქვთ ტანისამოსები. ზოგიერთს ტფილისელს დიდი თანაგრძნობა გამოუჩენია ამ საღამოსთვის და შეწირულებასაც დაჰპირებია.

*** ზემო სკანეთი: აქ ცივი ზამთარია; მოსთოვა ოქტომბრის შუა რი-

ცხვებში. ეხლა ერთი საკენის სიმაღლეზეა თოვლი სოფლად. ნამუშევარი ვერ იყო საკმარისი; ამიტომ ხალხი სექტემბრის დამლევსავე გაფანტა აქეთ-იქით სამუშაოს საშოვრად.

*** ს. ბაჩო (იქიდამვე): ამას წინად ᲰᲭ დიდი უბედურობა დატრიალდა: ადგილობრივის მდვდლის ქალიშვილმა ამოაცალა ბუდიდან რევოლვერი ერთს აქაურს ახალგაზდა ბიჭს, რომელიც მოსულიყო სტუმრად, და დაუწყო ჩხაკუნი. რევოლვერში მარტო ერთი პატრონი იყო; პატრონმა ერთის დაჩხაკუნების შემდეგ გამოართვა რევოლვერი და ჩაიდო ბუდეში; ქალიშვილმა ხელ-მეორედ ამოაცალა და პირველსავე ჩახმახის დაცემინებაზედ გავარდა ტყვია, მოხვდა თვალში აქაურს ეკლესიის მნათის რვაცხრა წლის ქალს, რომელიც იქვე გარდაიცვალა...

*** ქუთაისი: ეს ერთი კვირაა, სანშინელი ქარი ჰქრის აქ. ქარმა დიდი ზარალი მისცა მცხოვრებლებს. ძველს სახლებს და ზოგს ახლებსაც სახურავი გადააძრო, ფანჯრის შუშები იმდენი დალეწა, რომ ადვილად ვერ გააკეთებენ სახლის პატრონები.

ზოგიერთ აქაურ ვაჭრების უზრდელობასა და თავხედობას სწორედ საზღვარი არა აქვთ. ამას წინად ერთს დუქანში დაეჭირათ ერთი სოფლელი და უნდოდათ უთუოდ მიეყიდნათ ქარი ჰქრის აქ. ეს ეუარი ეთქვა, არ ვიყიდი. ვაჭარი მისდგომოდა და სცემდა, მოპარავ გინდოდა შალისაო. ამისთანა შარგეს ათასს მოუდებენ ხოლმე სოფლელებს, მერმე აუტანენ ჩხუბს და უცემენ.

[illegible] ეტემა ერ-
[illegible] ული აზრი საფი-
[illegible] ციის დაარსებისა ქუ-
[illegible] კვლავ გიხსნება და ამ ორი
[illegible] კვირის წინად მთელი კომისია წავიდა ქუთაისში ადგილის ასარჩევად. საუკეთესო ადგილად კომისიას ფერმა უცვნია და, რადგან ეს ადგილი სამეურნეო სასწავლებლისაა, აღძრულა კითხვა იმის შესახებ, რომ საფილოქსერო სტანცია და სასწავლებელ-
[illegible] ულ ბაზრი საფი-
[illegible] ციის დაარსებისა ქუ-
[illegible] კვლავ გიხსნება და ამ ორი
[illegible] კვირის წინად მთელი კომისია წავიდა ქუთაისში ადგილის ასარჩევად. საუკეთესო ადგილად კომისიას ფერმა უცვნია და, რადგან ეს ადგილი სამეურნეო სასწავლებლისაა, აღძრულა კითხვა იმის შესახებ, რომ საფილოქსერო სტანცია და სასწავლებელ-

ფლიდან მიმავალი ერთი გლეხი, რომელსაც ხარი მიჰყვანდა რუისს, დაიღუპა და გზაფხულზე ძლივს იპოვეს, ღელეში გადავარდნილიყო; წრეულ კიდევ, დეკემბრის შუა რიცხვებში, რუისელი გლეხი დალაქმული შუა დღის დროს ქარში მოდენილიყო ახალ დაბისკენ. გზა სრულიად წაბამქრილი იყო, და ჭარშიაც ბევრი ტრიალდა, გადასცდენიყო გზა საბრალოს და დამრჩალიყო. მეორე-მესამე დღეს, როცა გამოიდარა, მთელმა სოფელმა დაუწყო ძებნა, სვავმა აპოვნინა კვალი და გაფიჩხებული-კი ამოაძრეს დალაქმული. ეხლა ისე დაშინდნენ ანლომახლო სოფლელები, რომ მარტო აღარა ჰბედავენ მოგზაურობას. ამ სტრიქონების დამწერს ახალდაბასა და რუისს შუა შემოხვდა მთელი ოჯახობა კაცით ქალამდე, რომელმაც თქვა: ეს კაცო, გუშინ-წინ ახალდაბას წავიდა, და რომ არ დაბრუნდა ჩვენ გამოვიქერით შემინებულიო. ნეტა ამ ხიფათს ადვილად არ მეევლებოდეს, კაცი არას იტყვის!.. მაგრამ, სულ რა, ექვსიოდ ბოძი რომ ჩაისვას გზაში, მაშინ ისე ძნელი არ იქნება სიარული. იმედია, ვისაც გული შესტკივა ამ სოფლებისათვის, მიაქცევს ყურადღებას ამ გარემოებას და რამდენიმე ბოძის გულისათვის ადამიანის მსხვერპლს არ გაიმეტებს!..

*** ს. რუისი (გორის მაზრა): აქ რაღაც ნაირი ჩუმი ავადმყოფობაა, რომელიც სწრაფად ჰკლავს ა[illegible] გლეხები ამბობენ [illegible] რამ იმა[illegible]

[illegible] ლი შეერთდნენ. თუმცა გადაწყვეტით არა გადაწყვეტილა-რა, მაგრამ ჩვენ, მარტო მისთვის რომ კითხვა აღძრულია, სასურველად არ მიგვაჩნია ეს შეერთება, ჯერ იმიტომ, რომ სტანცია სამეცნიერო დაწესებულებაა და სასწავლებელი-კი პრაკტიკულ გზას უნდა დაადგეს, და მერე იმიტომ რომ ამ ნაირი შეერთება გამოიწვევს საერთო ადმინისტრაციას, და ეს-კი—ორივე დაწესებულების წინ სვლას ხელს შეუშლის. (გაზ. „მეეურნე“)

*** ᲘᲭᲘᲜ ᲨᲔᲗᲧᲝᲑᲘᲗ: „კახეთის საუფლის-წულო მამულის გამგეობასაც განუზრახავს ქუთაისის გუბერნიაში ამერიკულ ვაზის სადგურის დაარსება იმ აზრით, რომ თუ კახეთში ფილოქსერამ იჩინა თავი, ამერიკული ვაზის ლერწები მზად აყოს და ადვილი შესაძლებელი გახდეს ადგილობრივის ვაზის შეცვლა ამერიკულით. თვითონ აზრი ჩინებულია, ხოლო ადგილის არჩევანი სადგურისთვის ცოტა უხერხულია. იმერთისა და კახეთის ნიადაგისა და ჰავის პირობები იმდენად განსხვავებულნი არიან ერთმანერთისაგან, რომ ეაი თუ იმერეთში ნახეირევმა და აღზრდილმა ამერიკულმა ვაზმა კახეთში ვერ იხეიროს“.

*** იგივე გაზეთი სწერს: საფილოქსერო დასების მუშაობის რიგი და წესი მომავალ ზაფხულისათვის შე-
[illegible] ლია. აქამდის კახეთში მუშაობ-
[illegible] რთი დასი, ქართლში სამი, შო-
[illegible] მაზრაში ორი და რაჭაში ერ-
[illegible] გორც შეეტყეთ, მომავალ
[illegible] ში შორაპნის მაზრაში დარ-
[illegible] ერთი დასი, ქართლშიაც ერთი და დანარჩენი დასები კახეთის ვენახების შინჯვას შეუდგებიან.

*** ბათუმიდან სწერენ გაზეთ „კავკაზს“, აქ ახლა მშვენიერი და თბილი დარებია, ნამდვილ გაზაფხულის მსგავსი, არე-მარე მწვანითაა შემოსილი და იმდენად თბილა, რომ ბათუმელები ზაფხულის ტანისამოსით დადიან.

*** ამ თვის 29, ელისაბედის ქუჩაზე, ნადროვის სახლებთან, იპოვნეს ორის კვირის და-

---

დან მეორემდე მშიერი იჯდა. ამ დროს ავადმყოფობაც გაუძლიერდა და ხშირად იწვა სამკურნალოში. უკანასკნელ, სახლის ქირის მიცემაც ვეღარ შეიძლო და სახლის პატრონმა გარეულ გამოაგდო. ეხლა სადღა უნდა შეეფარებინა თავი? დაუწყო ძებნა—იქნება ან სონა, ან ლიზა ვნახო სადმე და, შესაძლებელია, გიიხსენონ ჩემი ამხანაგობა, არ დამაგდონ სიმშილით სასიკვდილოდო. მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერა ჰნახა. სხვა ღონე აღარ იყო, დაიწყო მათხოვრობა და ქუჩა-ქუჩა წანწალი. მაგრამ რას გახდებოდა მათხოვრობით? ის თავის დღეში გამოუცდელი და ცხოვრების უცოდინარი იყო და მათხოვრობაშიაც ეკეთი უცოდინარობა და უხერხულობა თან დასდევდა. ისიც არ იცოდა, სად და რომელ ქუჩაზე დადის უფრო ბევრი ხალხი, სად ეპყრობოდნენ უფრო ყურადღებით მთხოვრებს; რომელ დღეს უნდა ჩამოიაროს ოჯახები და სთხოვოს მოწყალება. ფულის გამოზოგება და ერთხელად ხარჯვაც არ იცოდა: ჩაიგდებდა ხელში თუ არა ორიოდე ერთმანეთ, ვიდეენებდა თან რომელსმე

ნაცნობ მათხოვარს, წაიყვანდა დუქანში და ერთ კაპეიკსაც არ მოიჩენდა, ისე დაჰხარჯავდა, რაც-კი ეგადა. ამიტომ ხშირად ეგდო მშიერი.

ერთს დილას ერთმა ქალაქის გუშაგმა იპოვნა ქრისტინე ქალაქის ქუჩაზე ძლიერ ავადმყოფი. გუშაგმა შეატყობინა ეს ამბავი, სადაც რიგი იყო. პოლიციის მოხელემ გამოაკითხა ავადმყოფ ქალს, გაუგზავნა ნათესავები, თუ არაო.

— მაგუგ მამა, დედა, შვილი, დები, ძმები. ჩემს მამას დათიეი ქვია, ჩემს შვილს—გოგი. თვითონ მე რახილა-კა არა, ქრისტინე მქვია, გვარათ ხელმოკლიძეები ვართ, ქრისტიანები. გთხოვთ გამაგზავნოთ მამასთან. მინდა სიკვდილის წინ ერთი ჩემი გოგი ვნახო,—უთხრა ქრისტინემ პოლიციელს.

— რას ამბობ, დედაკაცო! შენ ურიის ქალი ხარ, რახილა, ყველა გიცნობს! უთხრა გაკვირვებულმა მოხელემ, რომელიც თითონაც კარგად იცნობდა ერთ დროს „ლამაზს ურიის ქალს, რახილას“.

— არა, მე ურიის ქალი არ ვარ, არც რახილა მქვია. ეს მოგონილი

იყო, ნატალიამ მოახერხა. მე დათიეის ქალიშვილი ვარ. მიქენით მოწყალება, გამგზავნეთ მამაჩემთან, ამისრულეთ ეს თხოვნა!

— მერე სადაური ხარ, რომელი მაზრის? შეეკითხა მოხელე.

— ჩვენ სოფელს ნიგვზიანი ქვია.

— მერე სად არის ეგ ნიგვზიანი, რომელ გუბერნიაში, რომელ მაზრაში? ესენი აღარ იცოდა ქრისტინემ. ის ერთ ხანს გაჩერდა და მერე უთხრა:

— ეგენი მე არ ვიცი. თქვენ ნიგვზიანში გამაგზავნეთ და მერე თითონ მივიგნებ. მოხელეს გაეცინა. ქრისტინეს სიტყვებიდგან ვერაფერი გაიგო, სადაური იყო ეს ქალი. ქრისტინე გაგზავნეს საავადმყოფოში.

საავადმყოფოში ქრისტინე მრუდს და მრთალს ყველას ეჩვენებოდა, „შინ გამგზავნეთო“. მაგრამ საავადმყოფოს მოსამსახურეებს და ექიმებს არც-კი გაეგებოდათ ქრისტინეს თხოვნა-მუდარა. იმათ ავადმყოფის ბოდვად მიიჩნდათ ქრისტინეს სიტყვები და მის მიერ „გოგის ნახვის“ ნატვრა.

ორი-სამის დღის შემდეგ ქრისტი-

დამადებული მიგდებული ბავშვი. ბავშვს ბანათი ჰქონდა, რომელშიაც ეწერა „ანანტასია“. ბავშვი საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

მთავრობის განკარგულებანი

სოხუმის სათავადრიგო ჯარის ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲘᲡᲐ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲓᲐᲜᲘᲡ 156-ᲘᲡ ᲨᲔᲛᲬᲚᲔᲑᲚᲘ.

ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲐ: ᲢᲐᲢᲐᲠᲣᲚᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲠᲐᲜᲘᲡᲬᲝᲜᲝᲑᲚᲘᲡᲐ ᲤᲝᲜᲘᲡ-ᲢᲐᲚᲔᲜᲢᲘᲡ ᲙᲐᲜᲪᲚᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘᲡ ᲗᲐᲜᲨᲔᲛᲬᲘᲤᲘᲡ ᲨᲔᲛᲬᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ ᲓᲐᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ: ᲢᲐᲢᲐᲠᲣᲚᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲠᲐᲜᲘᲡᲬᲝᲜᲝᲑᲚᲘᲡ ᲤᲝᲜᲘᲡ-ᲢᲐᲚᲔᲜᲢᲘᲡ ᲙᲐᲜᲪᲚᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘᲡ ᲗᲐᲜᲨᲔᲛᲬᲘᲤᲘᲡ ᲨᲔᲛᲬᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ ᲓᲐᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

Გ. ᲐᲠᲬᲠᲣᲜᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲤᲣᲫᲕᲚᲐᲕᲔᲑᲘᲡᲐᲖᲔ ᲡᲘᲛᲮᲘᲠᲔ ᲟᲣᲠᲜᲐᲚ „ᲛᲣᲠᲩ“-ᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲐᲠᲐᲡᲬᲝᲜᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲬᲐᲠᲓᲒᲝᲛᲘᲗᲘᲗᲔᲛᲣᲚ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲛᲝᲬᲚᲔᲚ ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ.

ამ თვის წლის წინად, იმ დროს, როცა არწრუნი გამოჩნდა საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზზედ, ჩვენ საზოგადოო საქმეთა განაგებდნენ ფულის პატრონნი, ალა-ხაზეანები, ისეთი კაცები, რომელთაც დიდი გავლენა ჰქონდათ ჩვენს ცხოვრებაზედ თვისის სიმდიდრისა გამო. ჩვენს ერსა და ამ კაცთა შორის წყვდიადი სუფევდა.

განსვენებულის გ. არწრუნის ხმამ გააპო ეს წყვდიადი და მიიხმო ერი საზოგადო საქმეთა მართველდ.

ამ საქმის განსახორციელებლად საჭირო იყო არწრუნს შეედგინა ახალი დასი და ჩაენერა მისთვის სხვა იდეიები.

ამისთვის საჭირო იყო გ. არწრუნს აღეზარდა ახალი თაობა, რომელსაც უნდა ეხელმძღვანელა ახალის იდეიებით და დამდგარიყო სიმართლის გზაზედ.

პირველ ათ წელიწადს „მშაკი“-ს გამოცემის დროს გ. არწრუნი მოუნდა ამ იდეიების ხალხში გავრცელებას.

გ. არწრუნმა დაჰპადა ახალი ლიტერატურა, რომლის საუკეთესო წარ-

ნე უკეთ შეიქნა, ძალი მოუვიდა, რავდენიმე კოვზი წვნიანი საქმელი შეჭამა. „აწი აღარ მჭირია ამათთან ხვეწნა, მოვრჩები და ჩემით წავალ შინ“, ამიდგებდა თავის თავს ქრისტინე. მართალია, ქრისტინემ იცოდა, რომ წასვლისთვის ფული იყო საჭირო, ფული, რომელიც არ მოეპოვებოდა. მაგრამ ეხლა ისე ენატრებოდა თავისიანების ნახვა, რომ ამ დაბრკოლებას არაფრად სთვლიდა. „ვაგონში სადმე მივიმალები (ქრისტინეს ახსოვდა, რომ ტფილისში რკინის გზით მოვიდა) და ისე წავალო“, ჭფიქრობდა. ისიც ახსოვდა, თუ, როცა ისა და სონა მოდიოდნენ, როგორ დიმალა ვაგონის სკამ ქვეშ ერთი ბიჭი.—„რისთვის იმალება? ჰკითხა მან სონას.—„ფული არ ჰქონია, ბილეთი ვერ უყიდია და ამიტომ კანდუქტორეს ეშალვისო“, უპასუხა სონამ. „მეც, მეც ისე დავიმალავი, როგორც მაშინ იმ ბიჭმა ქნა“, ამბობდა თავის გულში ქრისტინე. აქამომდეც ბევრჯელ უნატრია ქრისტინეს: „ნეტა ერთი ჩემი გოგი, ჩემი მშობლები და და-ძმები მაჩვენონ“. ახსოვდა, რომ ხანდახან სონა და ის და-

ᲯᲓᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ, მოიგონებდნენ თავისიანებს, თავიანთ უმანკო ბავშობას, თავიანთ სოფლებს, მოუყვებოდნენ რამე ამაოს ამ მოგონებისას ერმანეთს და ბოლოს ისე აღიკრებოდათ ამ მოგონების და ამბებით სევდა-ნაღველი, რომ ორივეს ცრემლი სდიოდათ თვალთაგან. ბევრჯელ გაუტარებია ქრისტინეს მთელი ღამეები ტირილით თავისიანების და მეტადრე გოგის მოგონებაში. მაგრამ მაშინ ეს მოგონება და ნახვის ნატვრა მხოლოდ დროებით აღუძრავდა სევდა-ნაღველს და შემდეგ ისევ გაუვლიდა. მშობლებთან წასვლა და იმათი ნახვა მაშინ ერთხელაც არ განუზრახავს, რადგანაც ჰფიქრობდა, რომ „მე, გარეგნილს, აღარ მიმიკარებენო“. ეხლა-კი ისე გაჰღვიძებოდა იმათის ნახვის წადილი, რომ არაფერს აღარ ერიდებოდა. „გამიწყრენენ, გამლახონ, მომკლან, ოღონდ ერთი თვალი შევავლო“, ამბობდა ის თავის გულში. პირველად, როცა ახალად მოშორებული იყო ქრისტინე ოჯახ-
[illegible] სიანებს, ერთ-ორ [illegible] თავის [illegible]
[illegible] გი-კი ნახა სიზ[illegible] ორ[illegible] მშობ-
[illegible] ლები, ნათესა[illegible] ისი სოფ-

[illegible] ძეკუნით, ამ [illegible] სრულდება ათი წელიწადი, რაც ჩვენი (დეკანოზ ღამბაშიძის) ორგანო — „მწყემსი“ არსებობს. ჭეშმარიტად შესანიშნავია ჩვენთვის ეს 1892 წელი. ამ წლის დამდეგს სრულდება ჩემი ცხოვრების 50 წ. ამ წლის დამდეგს სრულდება ჩემი მეცხრამეტე საუკუნეა, სასწაულებელში შესულიდამ დაწყებული, კიდრე 25 წლამდე ოფო ნიადაგი მისწრაფება სწავლისა და მეცნიერებისადმი. 25 წლიდამ დაწყებული დღემდის ცხოვრება ჩემი არის დაუღალავი და ნიადაგი ბრძოლა ამ ამო წუთა-სოფლის უგულმართობასთან და ჭეშმარიტებისა, სიმართლისა და კეთილ-ზნეობის წინაშე ეკლიანის გზის კაფვა.

[illegible] (და ძმაბმ), რომ, ჭეშმარიტად, ღმერთი მიფარავდა ეოველისა ბოროტისა, მოშურნეთა, ტილის მეზობლთა და მზაკვარ კაცთაგან...

[illegible] ეესავთ უფალსა, რომ აკი არ მოგაკლებს თავისსა სიფარეველსა ჩემი სიცოცხლის დასაშთენ მცირე დღეთა შინაცა...

ნეტარ არს კაცი (რომელი არა მიავიდა ზარახეთა ულმრთოთასა), რომელი მოესწრო და თავლით ისილა ნაოფი თვისი შრომისა და მოღვაწეობისა. ტკბილია ეს წამი. მაშურადი მუშაკი სრულიად იეოწეებს ეოველივე (თუ ეოველსაკე, ითვრეულ გრამატიკა) სამწარეს წარსულთა დღეთა. ჭეშმარიტად მძიმე ოფო უდელი ჩემი, მაგრამ მის ქვეშ არასოდეს ქედი არ მომადრეკია არავითარს გაჭირვების დროს. და როდესაც საჭიროებას მოუთხოვნია, არ დამიზოკავს მასთვის არც ღონეს, არც ქონეს და არც სიცოცხლე, (?) მაგრამ ამ ჩემ მეარე შრომას სიტკბოც თან ახლდა და ეს სიტკბო მდგომარეობდა ამაში (ეითომ СОСТОИТЪ ВЪ ТОМЪ), რომ ჩვენგან აღებული ტკბილი სიკეთილი ოფო საზოგადოებისათვის.

ათის წლის შრომამ და გამოცდილებამ აშკარად დამიწეა, რომ ჭეშმარიტება ისეთი საკანი ეოფილა, რომელსაც არა ეეეელა [illegible] ოთხლნი ასნიან ხელვად და ანა ეეე[illegible] [illegible] ეოფოთასა, მართალია გეთან მოხდა ეს, მაგრამ ხომ მოხდა მაინც.

ახლა ხომ შეიგნე, მეითხველო, რა შესანიშნავი ამბები მომხდარა საქართველოში ამ უკანასკნელ 50 წლის განმავლობაში და ჩვენ-კი არ ვიცოდით! 25 წლამდე ღამბაშიძე ნიადაგ მეისწრაფებოდა სწავლისა და მეცნიერებისადმი. 25 წლიდგან ღამბაშიძე ეკლიან გზასა ჰკაფავს და ეხლა ბედნიერია, რადგანაც „თვალით იხილა ნაოფი თვისი შრომისა და მოღვაწეობისა“. ამ 25 წლის განმავლობაში ღამბაშიძე რამდენჯერმე გარდაცვლილა და ისევ გაცოცხლებულა, რადგანაც, როგორც თითონ აღიარებს, როდესაც საპირობას მოუთხოვნია, „სიცოცხლე არ დაუზოგავს“.

დასასრულ ბედნიერი იუბილიარი ჯერ საშინლად იწყევლება (თუმცა, არა გვგონია, რომ წყევლა იუბილიარისთვის და მერე ისიც დეკანოზისთვის შესაფერი იყოს) და ამბობს:

„წეეული და შეჩვენებული ოფოს ფეთისაგან ჩვენ შორის ეოველი ბოროტება, მოღალატობა და ამ სამარცხვინო საქმეთა ჩამდენი. შერცხვენილი ოფოს ის მწერალი, რომელიც აღწერდა პირადი ანგარიშებით და არა საოწეენოებისა, კეთილ-ზნეობისა, მამელისა, მამეთოს და მოეკასთა დაცვისათვის.

და შემდეგ აღტაცებით ამბობს:

„გაუმარჯოს ჩვენში ღმერთმა ერთობას, ძმობას, სიყვარულს და სიმართლეს“

ამინ და კირიელეისონ! გაუმარჯოს ღმერთმა აგრეთვე ღამბაშიძის ქორწინებას, ღამბაშიძის დეკანოზობას და ღამბაშიძის რედ ქტორობას! შევწიროთ დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ვიტყვით ჩვენც ღამბაშიძესთან ერთად, და ვისურვოთ „ქვეყანასა ზე[illegible] [illegible] [illegible] [

მათგან, ვისაც [illegible] ნანსო საქმეებშიო.

გერმანია. იმპერატორმა სთქვა, რომ რაც-კი შემეძლება, ვეცდები, სამხედრო რეფორმა განვახორციელოო. ამ სიტყვებს ყველამ დიდი ყურადღება მიაქცია. ჰფიქრობენ, რომ იმპერატორსა და რეიხსტაგს შორის უთანხმოება მოხდება. იმპერატორმა მიიღო სხვა და სხვა სახელმწიფოთა ელჩები, მაგრამ საპოლიტიკო საქმეებზედ მათთან არაფერი ულაპარაკია.

წერილი რედაქციის მიმართ

გაზ. „ეფერია"-ში იყო მოხსენებული, რომ დაბა ბაბაშაში ნსურთ დაარსონ უფასო სასადილო ქართული წიგნსაკითხვაო". ამ ფრიად კეთილის საქმისათვის, როგორც ვიცი, ტოტა ოდენი ფულიც არის შეგრებული, თუ წარმოდგენილი, თუ სულის მოწერით, და ბაბაია ამ საქმის მოთავეს ასაღგაზდა სემანარიელს ბ-ნ რ. შამხალს, რომელიც, იმედია, ამ სასაამოვნო და სასარგებლო საქმეს მაღე განახორციელებს.—ამ კეთილისა და საზოგადო საქმის დასასრულებლად ჩვენც განვეხარებათ სულის მოწერით ფულის შეგრეა ტეიბულში და, თუსაც-კი ვსთხოვეთ, უეჭველად საამოვენებით შემოსწირა შეძლების გვარად, რასთვისაც უკვლანი დიდის მადლობის ღირსნი არიან. შეგრებული ფული შესდგა 35 მან. 55 კ., რომელსაც ამ მოკლე ხანში გარდაგზავნემო ბ-ნ რ. შამხალს.—რაც თქმა უნდა, დ. ბაბაშის მოამაგალი უფასო წიგნთ-საკითხვი დიდს სამსახურს გაუწევს და დიდ სარგებლობას მოუტანს იმ-ურ საზოგადოებას და განსაკუთრებით-კი ბაბაშის კაცრებს. ამასთან გოხოეთ შეგ[illegible]ულთ სა დაბეჭდოთ თქვენს პატეტემულ გაზეთში.

ელასანედ ბაბაშის 1 მ.,—ელასანედ თოქმაოვის ასული 1 მ.,—მახალი სადირბეგაშული 3 მ.,—კასალი მასსულა 5 მ.,—იანე ჯერადონიძე 2 მ.,—იანე ჯანტამოვი 2 მ.,—იანე ბაბაბოვი 2 მ.,—ივანე დოლგოვი 1 მ.,—სტეფანე ტეფაშვილ-შვილი 1 მ.,—ალექსანდრე ღვინოვაძე 1 მ.,—ს. გამრეკელი 1 მ.,—დიმიტრი ბუკია 1 მ.,—ალე კოლე-კარანეკსი 1 მ.,—სიმონ ბაკია 1 მ.,—კუბიოვი 1 მ.,—მახელ [illegible]

საკითხი [illegible] ბის შემდეგ კარნომ მიიღო სამინისტროს თხოვნა სამსახურიდგან გადადგომის შესახებ. ახალ კაბინეტში რიბოს ჩაბარდება შინაგან საქმეთა მინისტრობა, ფრეისინე და ლუბე ახალ კაბინეტში არ იქნებიან.

სასამართლო უკვე შეუდგა პანამის საქმის გარჩევას; ლესეპსი, ფონტანი და კოტტუ სასამართლოს დარბაზში უდარაჯოდ შევიდნენ.

ზიგმარინგენი. გუშინ ცოლქმრობის პირობას ხელი მოაწერეს რუმინიის მემკვიდრე პრინცმა და პრინცესამ ედინბურგისამ. ამ ქორწილ აქ იმყოფებიან: იმპერატორი ვილჰელმი, მეფე რუმინიისა და დიდი მთავარი ალექსი ალექსანდრეს ძე.

პეტერბურგის ბირჟა, 28 დეკემბ.

	ფასი	ბოლო-ფასი	ბოლო-ფასი
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ბუნ-მანდოთიანი ოქრო .	7,92	7,95	— ,,
ტამოჟნის კუპონები .	158¹/₄	159	— ,,
მანდოთიანი ბერცლის ფული	1,05	1,10	— ,,
5% პირველის შინაგანის სესხის მოგება ბილეთი	— ,,	— ,,	244¹/₂
—მეორისა	— ,,	— ,,	222
სახელმწიფო ბანკად-ბნ-ნაურობის ბანკის მოგებ. ფურცელი . .	— ,,	— ,,	192³/₄
გრანოვნის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6%.	102¹/₂	— ,,	— ,,
5%.	100	— ,,	— ,,
ქუთაისის ბანკისა 6%.	102¹/₂	— ,,	— ,,
5%.	100	— ,,	— ,,
5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საერ-დო-ო საზოგადოებისა	— ,,	— ,,	98²/₄

გავლადები ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდ[illegible] . . 5 ს. [illegible]

ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილ[illegible] ს საათზე,

ხუთშაბათობით: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

ნიხრი

1892 წ. 1 დეკემბრიდგან ახალ განკარგულებამდე.

თეთრი პური რუსული	1 გრ.	5 კ.
წითელი „	1-ის ხარისხ.	„ 4 „
„ „	2 „ „	„ 3¹/₂ „
„ „	3 „ „	„ 3 „
თონ. წით. პურ.	1 ხარ.	„ 5 კ.
„ „ „	2	„ 4 „
„ „ „	3	„ 3¹/₂ „

ჯვარის მამის პურის ლავაში.

1-ის ხარ.	პურ.	ლავაშ.	1 გ. 7 კ.
მე-2 „	„	„	„ 5 „
მე-3 „	„	„	„ 4 „

ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა 7 კ.
სუკი — — — 12 „
ცხვრის ხორცი — — 7 „

განცხადებანი

გამოვიდა და დაურიგდა აგენტებს ქუთაისის ამხანაგობის მიერ გამოცემული

„ფერი",

ლურმონტოვისა ნათარგმნი გრ. ბაბაშიძისაგან.

ფასი ორი შაური

(3—1)

[illegible]ლებ[illegible]ს და გერმანულს ასწავლის **პარიქელი პროფესორი**, მიხეილის ქუჩა № 29.

(3—1)

„[illegible] [illegible]ის საზოგადოებისა"

ПОЛИТИЧЕСКАЯ, ЛИТЕРАТУРНАЯ И

БУДЕТЪ ВЫХОДИ

ЕЖЕДНЕ

ВЪ ТАКОМЪ-ЖЕ БОЛЬШОМЪ ФОРМАТѢ, КАКЪ [illegible] ГОДЫ

Открывая подписку на „ОДЕССКІЙ ЛИСТОКЪ" на будущій год[illegible] мы считаемъ излишнимъ даватъ какія-либо заманчивыя и—въ больши[illegible]ствѣ случаевъ—неисполнимыя обѣщанія. Дѣло наше, полагаемъ, с[illegible]мо за себя говоритъ. Постоянные читатели „Одесскаго Ли[illegible]тка", на глазахъ которыхъ происходилъ его постепенный рост[illegible] согласятся, что мы не щадили до сихъ поръ никакихъ средств[illegible] и трудовъ, чтобы сдѣлатъ нашу газету отзывчивой, и[illegible]тересной, живой м[illegible]

Мы, какъ и [illegible]

„Одесскаго Листка" [illegible]

но идти по пути улучшеній изданія, держась [illegible]правленія, которое хорошо знакомо читающей [illegible]

Желая предоставить нашим подписчи[illegible] БЕЗПЛАТНО знакомиться съ русской и [illegible]ной прессой, мы, не остановливаясь предъ громадными затра[illegible]тами, открыли при редакціи КАБИНЕТЪ [illegible]Я ЧТЕНІЯ, в[illegible] которомъ въ 1893го-ду будетъ получаться **ДО 50** русскихъ, польскихъ, фран[illegible]ИЙ [illegible] итальянскихъ, англійских[illegible] славян[illegible]кихъ, грузинскихъ и другихъ газ[illegible]нѣмецкихъ[illegible]льныя научныя изданія, а ра[illegible]ихъ, грече[illegible]сти, разсказы, какъ русскіе, [illegible]ловъ, спец[illegible]

Подписная цѣна газеты съ [illegible]маны, по[illegible]чтенія всѣхъ русскихъ и иност[illegible]странные [illegible]лучаемыхъ къ кабинетѣ для чтенія, въ [illegible]еплатна[illegible]домъ: 10 р. въ годъ, 6 р. полгода, 3 р. [illegible]газетъ, [illegible]20 к. въ мѣсяцъ. На города съ ежедн[illegible]доставкою [illegible]тѣ: 12 р. въ годъ, 7 р. полгода, 3 р. 80 [illegible]мѣсяца [illegible]к. въ мѣсяцъ. [illegible]ляца, 1 р.

Контора редакціи: въ Одессѣ, по[illegible]цѣ, въ домѣ редактора-издателя В. В. Навр[illegible]ровской у[illegible]родскимъ театромъ. [illegible]омъ съ [illegible]

Редакторъ-издатель В. В [illegible]

Годъ X. 1893 ВЪ ГОРОДѢ КАРОСѢ